საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობის დახვეწის თაობაზე

"საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის აღსრულების, მისი მოქმედების ეფექტურობის შეფასების, სატრანსპორტო სფეროში არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა სისტემის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით და ამ სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოში ახალი ინსტიტუტის – საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების გათვალისწინებით, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლთა, ქვეითთა და მგზავრთა ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს წინადადებანი საპატრულო პოლიციის უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე საგზაო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოების ფართომასშტაბიანი ინფორმირების მიზნით.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა და ქვეყანაში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით შეისწავლოს საქართველოს კანონმდებლობა სატრანსპორტო სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, მათ შორის:

ა) ადმინისტრაციული სახდელის სახით მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ არსებული დებულებების შენარჩუნების მიზანშეწონილობა;

ბ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ასახული სატრანსპორტო სფეროში არსებული გადაცდომების შესახებ დებულებების ეფექტურობა;

გ) მართვის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული გამოცდების სისტემა და გამოცდების განმეორებითი ჩაბარების მიზანშეწონილობა მართვის მოწმობის დაკარგვის ან გაფუჭებული გადაცდომის ჩადენის ძალდგომ;

დ) მოქმედ კანონმდებლობაში არსებული შეზღუდვები ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის სიჩქარესთან დაკავშირებით;

ე) კონკრეტული გადაცდომების მიმართ არსებული სახდელების – ჯარიმების ფიქსირებული თანხით გამოხატვა;

ვ) ჯარიმის, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ადგილზე გადახდის ნაცვლად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ ჯარიმის საბანკო დაწესებულების გამოყენებით გადახდის სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი მექანიზმები ჯარიმის გადაუხდელობის აღკვეთის თვალსაზრისით;

ზ) სატრანსპორტო საშუალებათა საქარე და გვერდითი მინების დამუქების დასაშვები ნორმის დადგენისა და ამ ნორმის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემოღების მიზანშეწონილების საკითხი.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეისწავლოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერების სფეროში "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისობა და უზრუნველყოს კანონის მითხოვნათა სრული რეალიზაცია შესაბამის აქტებში.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოცემული დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ საქართველოს პარლამენტის იურიდიული საკითხთა კომიტეტს მოახსენოს დადგენილების მიღებიდან 2 თვის ვადაში.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე